

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
MINISTER DE L'EDUCATION ET DE SCIENCE DE LA
GEORGIE

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY
BIBLIOTHÈQUE NATIONAL SCIENTIFIQUE



ბიობიბლიოგრაფიული სერია «ქართველი მეცნიერები»
Biobibliographical Series `Georgian Scholars`
Série biobibliographique `Les savants géorgiens`

Ekvtime
TAKAISHVILI

(1863-1953)

Biobibliography

Ekvtime
TAKAÏCHVILI

(1863-1953)

Le biobibliographie

Tbilisi
2010

ექვთიმე
თაყაიშვილი

(1863-1953)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი

2010

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის

012 (თაყაიშვილი ე.) + 016 : 9(479.22)

თ-382

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, დიდი მამულიშვილის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1890-2010 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს და გამოხმაურებებს ამ შრომებზე, ე. თაყაიშვილის მიერ რედაქტირებულ შრომებს, ლიტერატურას მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო თარიღები. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე. ერთვის შრომათა, სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საძიებელი.

The biobibliography of the famous Georgian historian, great patriot, academician Ekvtime Takaishvili involves the materials of 1890-2010 years: the scientific works, the reviews and the comments on them, the works edited by E. Takaishvili and the literature dedicated to him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. Jubilee dates are separately provided. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities, dates of his life and activities in Georgian, English and French languages. Indexes of works, names and geographical names are applied in alphabetic order.

Le biobibliographie de l'historien géorgien célèbre, grand patriote, académicien Ekvtime Takaishvili implique les matériaux de 1890-2010 ans: les travaux scientifiques, les revues et les commentaires sur eux, les travaux édités par E. Takaishvili et la littérature ont consacré à lui.

Le matériel est arrangé dans l'ordre chronologique-alphabétique. Des dates de jubilé sont séparément fournies. Le biobibliographie est préfacé par un revue court des activités scientifiques et publiques, des dates de sa vie et des activités dans les langues géorgiennes, anglaises et françaises. Les index des travaux, les noms et les noms géographiques sont appliqués dans l'ordre alphabétique.

შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე
რედაქტორები: რ. მეტრეველი, ი. ღარიბაშვილი
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: ნ. ბაღათურია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: მ. ჟორჟოლიანი
დამკაბადონებელი: თ. ხახუტაშვილი

ISBN 978-9941-0-1791-9

© ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა



შინაარსი – CONTENTS – SOMMAIRE

ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).....	7
Ekvtime Takaishvili (A Short Review of the Scientific and Public Activities)	25
Ekvthimé Takaïchvili (Court revue des activités scientifiques et publiques)	33
ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	42
The Main Dates of Ekvtime Takaishvili’s Life and Activities	45
Gandes dates de la vie et des activités d’Ekvtimé Takaïchvili.....	48
ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი, რედაქტირებული და გამოცემული შრომები.....	51
Works Compiled, Edited and Published by Ekvtime Takaishvili.....	51
Ouvrages conçus, édités et publiés par Ekvtimé Takaïchvili	51
ლიტერატურა ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ.....	86
Publications About Ekvtime Takaishvili	86
Publications consacrés à Ekvtimé Takaïchvili	86
საიუბილეო თარიღები	132
Jubilee Dates.....	132
Dates commémoratives.....	132
დაბადების 100 წლისთავი	132
100 Year Anniversary.....	132

Centenaire	132
დაბადების 120 წლისთავი	133
120 Years Anniversary.....	133
120 ^e anniversaire.....	133
დაბადების 125 წლისთავი	135
125 Years Anniversary.....	135
125 ^e anniversaire.....	135
დაბადების 130 წლისთავი	136
130 Years Anniversary.....	136
130 ^e anniversaire	136
დაბადების 140 წლისთავი	137
140 Years Anniversary.....	137
140 ^e anniversaire	137
შრომების ანბანური საძიებელი	143
Index of Works.....	143
Index alphabétique des ouvrages.....	143
სახელთა საძიებელი	152
Index of Names.....	152
Index des noms.....	152
გეოგრაფიული საძიებელი.....	167
Index of Geographical Names.....	167
Index géographique.....	167

ექვთიმე თაყაიშვილი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

1953 წლის 21 თებერვალი ... გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი. იგი გულით დაიტირა ქართველმა ხალხმა, მაგრამ ... ცხედარი ორმოციოდე კაცმა თუ გააცილა და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალა. საქართველომ იცოდა ფასი გარდაცვლილისა, მაგრამ ... მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ეს დაფასება მხოლოდ მომავალში წარმოჩნდა. სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოსვენდა. გარკვეული დროის შემდეგ საფრანგეთიდან გადმოსვენეს და იქვე დაკრძალეს მისი მეუღლე ნინო პოლტორაგკაია. ამჯერად ექვთიმე და ნინო თაყაიშვილების საუკუნო სასუფეველი მთაწმინდის პანთეონშია.

დღესდღეობით ჭეშმარიტად დაფასდა დიდი მამული-შვილისა და მეცნიერის ღვაწლი – შრომა, რომელსაც შეეწირა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში დაფერფლილი დიდი სიცოცხლე. საყოველთაოდაა აღიარებული და შორსაა გატანილი ექვთიმე თაყაიშვილის მოწამებრივი ცხოვრების ამბავი, დაიდგა ძეგლი (ავტორი ანზორ გომართელი), დაიწერა წიგნები (შალვა ამირანაშვილი, აკაკი სურგულაძე, გივი ჟორდანიას, როინ მეტრეველი, შოთა ბადრიძე და სხვ.). მეცნიერის უკვდავყოფას განსაკუთრებული ამაგი დასდო რევაზ თაბუკაშვილმა შესანიშნავი ფილმით «საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი». ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება სანიმუშოა ყველასათვის, მისი მაგალითით უნდა გაიზარდოს ჩვენი ახალგაზრდობაც – შეიგრძნოს სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა და მისთვის, მის სამსახურში თუნდაც სიცოცხლის ნაწილის დახარჯვით მიღებული სიამაყის სიამოვნება.

ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე – ერთი მთლიანი განუყოფელი ფენომენია, ჭეშმარიტი ნიმუშია

სამშობლოსათვის თავდადებისა და უანგარო სამსახურისა: იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ცარიზმის ბატონობის მძიმე პირობებში გამოვიდა და გვერდით დაუდგა ქართული ისტორიოგრაფიის იმ სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ეროვნული ისტორიის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროების შეკრების, მეცნიერული შესწავლისა და გამოცემისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ქართული ეპიგრაფიკა, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძ-მინაწერები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და ყოველივე ამით მყარი ნიადაგი მოუშადა ქართული ისტორიის მეცნიერების აღმავლობას.

დღეს, XXI საუკუნის გადმოსახედიდან განსაკუთრებული ელვარებით მოჩანს დიდი ექვთიმე. რომელიდაც ფილოსოფოსს უთქვამს, «ისტორია აღდგომა-აღორძინება არისო». ისტორიის ამგვარი დეფინიცია, რა თქმა უნდა, სადავოა, თუმცა ე. თაყაიშვილის ბედს იგი საოცრად ესადაგება.

ექვთიმე თაყაიშვილი 1863 წლის 5 იანვარს (ძველი სტილით) დაიბადა. მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ობლობაში გაატარა. სამიოდე წლის ექვთიმეს საბედისწერო მარცხი მოსვლია: ხიდან გადმოვარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხია. ბავშვისთვის ყურადღება დაუკლიათ და იგი სამუდამოდ დაკოჭლებულა. 7 წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. აქ მაშინ მასწავლებლობდა დეკანოზი სიმონ ქიქოძე, ცნობილი ქართველი მოღვაწის გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა, რომელიც საღმრთო რჯულს ასწავლიდა. მან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ექვთიმე თაყაიშვილზე. სიმონ ქიქოძე ბავშვებს ასწავლიდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებს. ოზურგეთში სწავლისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო მარი, მომავალში კი ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

შემდეგ ექვთიმე სწავლას ქუთაისის გიმნაზიაში აგრძელებს, რომელიც 1883 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა. აქ იგი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა მსმენელად. ექვთიმე თაყაიშვილი მონდომებით მეცადინეობდა, ეწაფებოდა ცოდნას. მას ღრმად სჯეროდა, რომ ვერ ჩადგებოდა ერის სამსახურში, თუ მრავალმხრივ მომზადებული არ იქნებოდა. 1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოსკენ გამოსწია.

1887-1894 წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. ასწავლის ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიას განაგებს. ექვთიმე თაყაიშვილი უახლოვდება დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც იმხანად იღვწოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შეკრება-დამუშავებისა და შეძლებისდაგვარად გამოქვეყნებისთვისაც. «იმხანად, – წერს ე. თაყაიშვილი, – უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი ... შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად, რაც შეიძლება მეტი გამოიმეზურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, იმ რწმენით, რომ ... ჩვენში გამოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიგროვებდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში».

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო ექვთიმე, როცა იგი დაუსწრებლად აირჩიეს «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» გამგეობის წევრად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება საზოგადოების მუშაობაში. მისი ენერჯის

წყალობით გროვდება ძვირფასი წიგნები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვაგვარი სიძველენი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, მთხრელი არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი. ერთი სიტყვით, იგი იყო ჭეშმარიტი ისტორიკოსი, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

რევოლუციამდელი საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსების უმაღლესი შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი სხვ.). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც «ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს».

სხვა საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადო კრებებს, სადაც იმ დროს გამოჩენილი ქართველი მეცნიერები დამსწრე საზოგადოებრიობას აცნობდნენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს. იმართებოდა მოხსენებების განხილვა, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა – ამკვიდრებდა სწორ მეცნიერულ აზრს. ექვთიმე თაყაიშვილი

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სხვადასხვაგვარი ექსპედიციების მოწყობას. მიიჩნევდა, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის და მეტად საინტერესო აწმყოს შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოება დაარსების უმაღლეს შემუდგა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავლად მოეწყოთ ექსკურსია-ექსპედიციები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა, ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება. ყველა ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

ექვთიმე თაყაიშვილი საზოგადოების დაარსების პირველი დღეებიდანვე შეუდგა გამოცემათა თადარიგს: გამოსცა ორი სერია – «ძველი საქართველო» და «საქართველოს სიძველენი». პირველ მათგანში იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერატები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო მეორეში – სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა აქტები. «საქართველოს სიძველენის» პირველი ტომი ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსებამდე გამოსცა. მეორე, მესამე და მეოთხე ტომებში დაიბეჭდა 1527 სიგელ-გუჯარი. «ძველ საქართველოში» დაიბეჭდა 2000 ხალხური ლექსი, 1385 არაკი, 115 გამოცანა, 16 სიმღერა, 33 ზღაპარი, 4 თქმულება და სხვ. საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა სამუზეუმო საქმიანობას და სალექსიკონო მუშაობას.

ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად გამოდიოდა მეცნიერული მოხსენებებით. მის ყოველ ნაშრომში იგრძნობა უდიდესი ერუდიცია, მასალის ღრმა ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება. მისმა ღრმა მეცნიერულმა და მეტად მნიშვნელოვანი მასალების შემცველმა ნაშრომმა «მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის» იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მას მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და 1911 წლის 28 მარტს საზოგადოების დიდი მედლით დააჯილდოვა.

დიდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული «ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების» კომისიაში. უნივერსიტეტის წესდების შესადგენად და სხვა სახის საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში ე. თაყაიშვილიც იყო. როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით) უნივერსიტეტი გაიხსნა. ექვთიმე თაყაიშვილი კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გულისხმიერება, რომლითაც იგი თავის სალექციო მოღვაწეობას ეკიდებოდა. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის ხარისხი. 1920 წლისათვის ე. თაყაიშვილის ლექციები საქართველოს სიძველეებს შეეხებოდა. იგი სამ სალექციო კურსს უძღვებოდა. ერთი უნივერსიტეტში ახლად შემოსულთათვის იყო და მოიცავდა შესავალს საქართველოს სიძველეებისას – ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანას ზოგადად და, კერძოდ, საქართველოში, და საქართველოს ისტორიული დროის სიძველეთა ზოგად მიმოხილვას. ამასთან ერთად მეცნიერი კითხულობდა ეპიგრაფიკას და ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

ექვთიმე თაყაიშვილი მეტად მომთხოვნი ლექტორი იყო. მის პირად არქივში დაცულია პროგრამა სტუდენტების გამოცდისა საქართველოს სიძველეთა ცოდნაში. ასე მაგალითად, პირველი ოთხი სემესტრის ბოლოს სტუდენტს უნდა სცოდნოდა: I. ისტორიის წინა დროის კულტურა საზოგადოდ, ისტორიის წინა დროის ხანა საქართველოში და, საზოგადოდ, კავკასიაში, ქვის საუკუნე, ბრინჯაოსა და რკინის საუკუნეები. II. ისტორიული დროის საქართველოში უძველესი მწერლობის ნაშთები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და უძველესი წარწერები, ქართული წელთაღრიცხვა. III. საქართველოს თვალსაჩინო ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორია.

ექვთიმე თაყაიშვილს თავის პროგრამაში ხაზგასმული აქვს აგრეთვე ისიც, თუ რის ცოდნა მოეთხოვებოდათ სტუდენტებს შემდგომი ოთხი სემესტრის ბოლოს: საქართველოს

ხუროთმოძღვრების ნაშთები და მათი შემკობილობა, ქანდაკება, ჩუქურთმა, ფრესკა. ეპიგრაფიკის ასომთავრული და ნუსხახუცური ხელნაწერები და ძველი მხედრული სიგელ-გუჯრების, აგრეთვე ოქრომჭედლობის განვითარება საქართველოში.

ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროსაც არ ივიწყებდა საქართველოს სიძველეებს და მათ დაცვა-შესწავლას. თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

ექვთიმე თაყაიშვილსა და მის თანამედროვეებს «არქეოლოგია» ფართოდ ესმოდათ. კერძოდ, მასში გულისხმობდნენ ტაძართა და საეკლესიო წიგნთა აღწერას, წარწერების გადმოღებას, ამოკითხვასა და აღწერას, მიწაში დაფლული ნაშთების გათხრას და სხვა. ამდენად, ბუნებრივია, ასეთი ფართო საქმიანობის გასაშლელად ბევრი უნდა ემოგზაურათ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და, მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილს მძიმე ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, მას არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე, ფეხით რომ არ მოევიდნო, აქ არსებული ყველა ისტორიული ძეგლი არ აღეწეროს და არ შეესწავლოს. ამიტომ არის ასე ფასდაუდებელი მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: «ერთი სიტყვით, საზოგადოების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – რ. მ.) წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევატყე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოგვიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემეყვარდა და ვიწყე ზრუნვა დალუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალახალსაც ვაგროვებდი. შემოწირულსაც აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე».

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი, სახმარად უვარგისი, საეკლესიო წიგნების შეგროვებას. ექვთიმე თაყაიშვილმაც სწორედ ამით დაიწყო თავისი საქმიანობა. პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა მოეწყო 1889 წლის 17

თებერვალს მცხეთაში, სადაც დიმიტრი ბაქრაძემ წაიყვანა. მათი მიზანი იყო ხელნაწერი წიგნების ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები მხოლოდ სვეტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ. ამ მოგზაურობას სათანადოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესაც. შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედებითს საქმიანობას, რომლის ერთგვარი დაგვირგვინება იყო მის მიერ 1890 წელს გამოცემული «სამი ხრონიკა». მას მოჰყვა «წმინდა ნინოს ცხოვრება», რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე და გარკვეული გარდატეხა გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ექვთიმე თაყაიშვილის როგორც მეცნიერის ჩამოყალიბება თანდათან ხდებოდა. მის მუშაობაში ისახებოდა ერთი მთავარი მიზანი: რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, შეეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, დაღუპვა-დაკარგვისაგან გადაერჩინა ძეგლები და მისაწვდომი გაეხადა მკვლევართათვის. ექვთიმე თაყაიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მკვლევარები, რომელთათვის სასარგებლო იქნებოდა მისი ნაღვაწი.

ექვთიმე თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სისტემატური კვლევისა და ძეგლის შედეგად ბევრი ახალი, სრულიად უცნობი პირველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის მიერ აღმოჩენილ «ვეფხისტყაოსნის» ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით; საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლისა, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძენთა შორის არის აგრეთვე მეფე გიორგი XI-სათვის 1680 წელს მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი «ვეფხისტყაოსანი». ეს ხელნაწერი გამოირჩევა არშიებზე მოხატული სამკაულით. «ევროპის რომელსაც გინდა მუზეუმს რომ

მიუტანო, უეჭველად მოგცემენ მილიონსო», – ამბობდა ამ ხელნაწერის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა პელაგია წერეთლისეული «ვეფხისტყაოსნის» გადარჩენა, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული. ამ ხელნაწერის მოკლე ისტორია ასეთია: ერთ საჩხერელ თავადს ნესტორ წერეთელს ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი პელაგია. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება (მათ შორის «ვეფხისტყაოსნის» აღნიშნული ხელნაწერი) მის ცოლ-შვილს დარჩა. დედამ შვილებს «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერი ყდის გასაკეთებლად გაატანა. ამ უკანასკნელთ იგი ეტლში დარჩენოდათ. მეეტლეს ხელნაწერი სამ თუმნად მიუყიდია კომერსანტ დავით სარაჯიშვილისათვის. დავით სარაჯიშვილმა კარგად იცოდა ასეთი ძეგლების ყადრი, ხელნაწერი შეუძენია და იმხანად თბილისში მყოფ ბარონ დე ბაისათვის განუზრახავს მისი ჩუქება. ექვთიმე თაყაიშვილს ეს ხელნაწერი უნახავს, უთხოვია დავით სარაჯიშვილისაგან და არ დაუბრუნებია პატრონისათვის მანამ, სანამ ბარონ დე ბაი საქართველოდან არ წასულა. შემდეგში ამ ხელნაწერის მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა «ვეფხისტყაოსანი» გამოსცა კიდევ.

ექვთიმე თაყაიშვილი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ფართოდ გატანისა და ახლის აღმოჩენისათვის. პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილზე ადრე მოაწყო გათხრები საქართველოში, ნიკო მარი იყო. მან გათხარა ძველი, წინაქრისტიანული სასაფლაო დებედის ხეობაში, სოფელ ვორნაკში და მეტად საინტერესო ნივთები აღმოაჩინა, მაგრამ მალე ნიკო მარმა ანისში დაიწყო გათხრები და მთელი ყურადღება იქით გადაიტანა. ვორნაკი რომ უყურადღებოდ არ დარჩენილიყო, იქ თხრის გაგრძელება საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ ექვთიმე თაყაიშვილს შესთავაზა. ექვთიმე თაყაიშვილი დათანხმდა და დაიწყო საქმიანობა. ეს იყო 1894 წელს. ვორნაკში ბრინჯაოს ხანის სამარხები აღმოჩნდა. საერთოდ, ვორნაკის სამარხები მდიდარი იყო. აღმოჩენილ მასალებზე მუშაობამ

ექვთიმე თაყაიშვილს გარკვეული გამოცდილება შესძინა. იგი თანდათან წახალისდა და შემდგომში უფრო თამამად მიჰყო ხელი გათხრებს. 1917 წლის რევოლუციამდე ექვთიმე თაყაიშვილი ერთადერთი ქართველი არქეოლოგი იყო, გათხრებს რომ აწარმოებდა. იგი პარალელურად პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. დიდ ყურადღებას უთმობდა მიწისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს «ახალგორის განძის» შესანიშნავი მასალების შეგროვებისა და დაცვის საქმეში. მან კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამსყიდველებს, ვიდრე განძის უმეტეს ნაწილს თავი არ მოუყარა და საბოლოოდ კავკასიის მუზეუმში არ დააბინავა.

ექვთიმე თაყაიშვილის გულმოდგინების შედეგი იყო «ხელმწიფის კარის გარიგების» ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა, ნაგავში. ექვთიმე თაყაიშვილი მუდამ ცდილობდა, რომ ყოველივე ის, რასაც აღმოაჩენდა, პირველივე სახით უცვლელად გამოეცა. ასევე მოიქცა აღნიშნული ხელნაწერის მიმართაც. 1920 წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ «ხელმწიფის კარის გარიგება» ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა. მიუხედავად იმისა, რომ თხზულებამ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია. «ხელმწიფის კარის გარიგება» არის სახელმძღვანელო კარისკაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საერთოდ ყველა მოხელისათვის. ეს არის სხვადასხვა მეფის მიერ დაწესებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონთა კრებული. აღნიშნულ ძეგლს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობებს სამხრეთ საქართველოში, ეგრეთ წოდებულ «თურქეთის საქართველოში» (საქართველოს ეს სამხრეთი ნაწილი ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). ოქტომბრის რევოლუციამდელი რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის

თანახმად, ეს იყო ყარსის ოლქის ორი «ოკრუგი» არტაანისა და ოლთისისა და აგრეთვე ბათუმის ოლქის მცირე ნაწილი.

ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში) სამჯერ იმოგზაურა. პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლებიც, ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. გამოკვლეული იყო არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა. მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული ძეგლები შესწავლასა და გამომზეურებას ელოდნენ და ექვთიმეც დიდი მონდომებით ეწეოდა ამ საქმეს. იგი იხსენებს: «საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვის. პირადად ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს».

ექვთიმემ საკუთარი თვალთ იხილა საქართველოს თითქმის ყველა მიწისზედა ძეგლი, თავად შეიგრძნო ბევრი მათგანის სიდიადე, იმ ხუროთმოძღვართა ნიჭი და ძალა, რომელთაც შექმნეს საქართველოს ეს დიდებანი. შესწავლილ იქნა დიდი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ძეგლი უკვე აღწერილი იყო არქეოლოგიურად, მაგრამ ექვთიმეს ძველ აღწერილობაში კორექტივები შეჰქონდა, ბევრს ისეთს ახალს ნახულობდა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა: კახეთში – ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და

სხვ. იმერეთში – საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ. სამეგრელოში – მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ. რაჭაში – გლოლა, ჭიორა, ლეხი, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ. ლეჩხუმ-სვანეთში – ლაბჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი, უმგული და სხვ.

1937 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში გამოსცა წიგნი «არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს». მან ლეჩხუმ-სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოიტანა. წიგნში ძირითადად ქრისტიანული დროის კულტურის ძეგლები განიხილა. ავტორის აზრით, ქრისტიანობა სვანებმა ბიზანტიიდან მიიღეს. როცა სრულიად საქართველო ბაგრატ III-ის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა 980-იან წლებში, სვანეთი ერთიანი საქართველოს ნაწილი გახდა: ამის შემდგომ საქართველოს მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული. ამავე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატზე დახატულია დავით V და მოხსენიებულია მისი მეუღლე გვანცა. მუხერის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: «ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი, დიდნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სანნი».

წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-ხატისა და ხელნაწერებისა სვანეთში იმით აიხსნებოდა, რომ აქ ნივთებს მტრის შემოსევებისაგან შესანახად და გადასარჩენად ეზიდებოდნენო. მაგრამ ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას ნათლად მოწმობს სვანიზმები წარწერებში. ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა. ე. თაყაიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა სვანეთში არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობაზე და იმედოვნებდა, რომ ეს მხარე უთუოდ მდიდარ მასალას მოგვცემდა.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა 1917 წლის არქეოლოგიური

ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. ეს ექსპედიცია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო. მოწვეულ იქნენ სამოქალაქო ინჟინერი ა.კალგინი, მხატვარი დ. შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ი. ზდანევიჩი, მხატვარი ლ. გუდიაშვილი და შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი მ. ჭიაურელი, რომელიც იმხანად მხატვრობას ეწეოდა. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხთოროთის ტაძარი, ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ოთხთა ეკლესია, ასევე ცნობილი პარხლის ეკლესია და სხვ. იმ დროს ტრანსპორტით მოგზაურობა თითქმის არ ხერხდებოდა, მით უმეტეს, ისეთ მთაგორიან ადგილებში, სადაც ჩვენს წინაპრებს ეკლესიამონასტრები უშენებიათ. რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა ერის ისტორიისა და კულტურისა იმ ადამიანს, რომელიც მტკივანი ფეხით ამდენს დადიოდა, არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას და პირნათლად ახორციელებდა მიზანს, რომელიც ერთხელ დაისახა.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა მეტად დიდი როლი შეასრულა ჩვენი კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში.

1921 წელს ახალი ხანა დაიწყო საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმს მიაშურა, რათა აქედან ზღვით უცხოეთში გამგზავრებულიყვნენ. ამასთან, განკარგულება გაიცა მთელი სამუზეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ და უცხოეთში გაეტანათ. სამუზეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ, თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა

დატოვა საქართველო და იძულებით კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა. განძის პატრონად ფორმალურად მენშევიკური მთავრობა ითვლებოდა.

განძი აუწერელი ფასეულობისაგან შედგებოდა. აქ იყო თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის ნივთები, ძვირფასი ხელნაწერები, სურათები ეროვნული გალერეიდან, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, რუსული ეკლესიების ქონება, სახაზინო ქონება, ბორჯომის სასახლის ქონება (მდიდარი ბიბლიოთეკებით) და სხვა მრავალი. ნიშანდობლივია, რომ განძის გამტანებს არ დავიწყებიათ დავით სარაჯიშვილისათვის მიძღვნილი ვერცხლის გვირგვინები, რომლებიც მის კუბოს ამკობდა ...

საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანმა მინისტრმა და უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში ახელ შევალემ საქართველოს განძეულობა ფრანგულ კრეისერზე «ერნეს რენანზე» მოათავსებინა. ამასთან იმდენი მოახერხა, რომ ეს კრეისერი დანიშნულ დროზე ადრე გავიდა და ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ნინო, რომელიც მასთან ერთად მიემგზავრებოდა, მას ჩამორჩნენ. ექვთიმე დაქირავებული კატარლით დაედევნა ფრანგულ კრეისერს, რომელიც კონსტანტინეპოლისაკენ მიემართებოდა. კონსტანტინეპოლში განძეულობა სამგზავრო გემ «ბიენ ჰოაზე» გადაიტანეს და 20 მარტს მარსელისაკენ გაემართნენ. ორმოცდარვა დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ 1921 წლის 10 აპრილს მარსელში ჩასულან. მას შემდეგ, რაც განძი მარსელის ბანკს ჩააბარა, ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ პარიზში წავიდა და ერთხანს იქ ცხოვრობდა, შემდეგ კი ლევილში გადავიდა. ექვთიმე თაყაიშვილი მეცნიერულ საქმიანობასაც აგრძელებდა. მისი აღიარება იყო, როცა იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ სააზიო საზოგადოების (1925 წ.) წევრად აირჩიეს.

საფრანგეთში საქართველოს განძის ჩატანის ამბავი ფართოდ გახმაურდა და მისი შეძენის ბევრი მსურველიც გამოჩნდა. ნიუ-

იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ განძის თუნდ მცირე ნაწილი. ფრანგი ისტორიკოსი მილე ნივთების ფოტოგრაფიულად გადაღების ნებართვას ითხოვდა. ექვთიმე თაყაიშვილი თავს ევლებოდა საქართველოს საუნჯეს და კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ყველას, ვინც კი განძთან დაკავშირებით რაიმეს ითხოვდა. ხედავდა რა უდიდეს ინტერესს განძისადმი, ექვთიმეს აწუხებდა მისი მომავალი ბედი. მას შეუჩივლია 1928 წელს პარიზში ჩასული აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანისათვის: «მოახერხეთ როგორმე, ეს სიმველეები დაუბრუნდეს საქართველოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩემი მეორე სიკვდილი იქნება».

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მცდელობა დასჭირდა იმისათვის, რომ სასამართლოს წესით უარეყო გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის სალომე ობოლენსკაიას საჩივარი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან გატანილ განძეულობაზე. ექვთიმე თაყაიშვილის გარდა მოსარჩელეს გამოუჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე. ეს იყო საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებათა, უფლებათა და ინტერესთა დროებითი დამცველი პიერ ჟოდონი. ობოლენსკაიამ ვერ მიიღო ძიებული ნივთები, მაგრამ ისინი აღარც საქართველოს ეკუთვნოდა. საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის დაახლოებამ თავისი გავლენა იქონია სხვადასხვა ემიგრანტული «მთავრობების» მდგომარეობაზე. გამონაკლისს არც საქართველოს «მთავრობა» შეადგენდა. იგი კანონგარეშე გამოცხადდა. განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. ექვთიმე თაყაიშვილი ბევრს ეცადა მიეღწია საფრანგეთის მთავრობის უსამართლო განაჩენის გაუქმებისათვის, მაგრამ ამაოდ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ განძის შენახვის საფასური უსახსრობის გამო საქართველოს წარმომადგენლებს ერთი წლის გარდა ფაქტობრივად არ გადაუხდიათ.

განძმა თითქმის 25 წელი დაჰყო საფრანგეთში, აქედან 13 წელი მარსელში, დანარჩენი – პარიზში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მხარეს გამარჯვების სასწორის გადახრამ

გახადა შესაძლებელი განძის დაბრუნება. 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძთან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლი მოსკოვში ჩასვლისა და ი. სტალინთან შეხვედრის სამზადისში იყო (ეს ვიზიტი 1944 წლის 2-10 დეკემბერს გაიმართა). რა თქმა უნდა, მის ნაბიჯს გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი ვიზიტის წარმატებაზეც. დე გოლს განკარგულება გაუცია საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე. ამ შთაბეჭდილებითაა დაწერილი ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: «განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ: «ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო». ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალთ უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ პიროვნებას ვერ წარმოშობდაო».

ექვთიმე თაყაიშვილმა, მიუხედავად მძიმე და რთული ცხოვრებისა, მიუხედავად გაჭირვებისა, ბოლომდე უპატრონა მისთვის მინდობილ საუნჯეს და უკვე ღრმად მოხუცი ამ საგანძურთან ერთად 1945 წლის 11 აპრილს თბილისში დაბრუნდა. მშობლიურ მიწაზე რომ დადგა ფეხი, ოთხმოცდასამი წლის ექვთიმემ ათრთოლებული ხმით დიდი აკაკის სიტყვები წარმოთქვა:

«ცა ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო! ...»

მცოვან მეცნიერს შალვა ამირანაშვილისათვის უთქვამს: «ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე». ძვირფასი საუნჯის უზადოდ სამშობლოში

დაბრუნება მიაჩნდა ექვთიმე თაყაიშვილს თავის უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობად და რაკი მისი დიდი მისია წარმატებით დამთავრდა, ბედნიერად თვლიდა თავს და ხმამაღლა აცხადებდა: «მე ძალიან ბედნიერი ვარ და არა მაქვს უფლება ბედს დავემდურო».

ახლად ჩამოსული ექვთიმე თაყაიშვილი კმაყოფილი იყო ახალი საქართველოს ცხოვრებით, განცვიფრებული იყო თბილისის წინსვლით: «პირდაპირ ზღაპრულად გარდაქმნილი და გამშვენიერებული დამხვდა თბილისი, რომ ჩამოვედი ... დიდი გაქანებითა და გემოვნებითაა ყველაფერი გაკეთებული...» სხვაგან იგი წერდა: «თბილისს გარეგნულად ვეღარ იცნობ, ისე გამწვანებული და გამშვენიერებულია, აუარებელი დიდი და მცირე ნაგებობაა აშენებული, მაგრამ არაფერი არ ჰყოფნის, მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტია». მეცნიერის სიტყვებში ერთგვარი შემოფოთება იგრძნობა თბილისის მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო. ასევე დიდი გაკვირვება გამოუხატავს ექვთიმე თაყაიშვილს, როცა მისთვის საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი დაუსახელებიათ. იგი ძალიან დიდად მოსჩვენებია და უკითხავს კიდეც: გვჭირდება კი ამდენიო. დიდი მეცნიერის იმდროინდელი შენიშვნები ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე დღემდე აქტუალურია.

ექვთიმე თაყაიშვილმა მადლი მიაგო იმათ, ვინც ღვაწლი დასდო საქართველოს ეროვნული განძის გადარჩენის საქმეს. მან საგანგებო სამადლობელი წერილები გაუგზავნა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩს ა. ე. ბოგომოლოვს; მადლობის ბარათი აახლა გენერალურ კონსულს ა. ა. გუზოვსკის.

ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ორგანოებში, აქვეყნებდა ძვირფას მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემაზე; 1945 წლის 10 მაისს არჩეული იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. 1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ საჯაროდ წარდგა თბილისის

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით «ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ».

მოხუცებულ, მარტოხელა ექვთიმეს ცხოვრება უმძიმდა, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც არ დაუკარგავს. მიუხედავად ზოგიერთი განგებ შექმნილი დაბრკოლებისა, რომელიც მას ხვდებოდა, მხცოვანი მეცნიერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავდაუზოგავად მუშაობდა.

ექვთიმე თაყაიშვილი თავისი მოწამებრივი ცხოვრებითა და განსაცვიფრებელი მოღვაწეობით მტკიცედ დამკვიდრდა უკვდავ ქართველ მამულიშვილთა სამარადჟამო პანთეონში.

... ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი ... თებერვლის ერთ ჟამიან დღეს ორმოციოდე კაცმა გააცილა მისი ცხედარი და თითოეულმა თითო მუჭა მიწა მიაყარა. ორმოციოდე კაცმა ...

დღეს საქართველომ იცის თავისი დიდი შვილის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ფასი. საქართველოს ეკლესიამ იგი წმიდანად შერაცხა და აქედან მოკიდებული «წმიდა ექვთიმე ღვთისკაცად» იწოდება.

აკადემიკოსი

როინ მეტრეველი

EKVTIME TAKAISHVILI

(A Short Review of the Scientific and Public Activities)

21 February 1953... died Ekvtime Takaishvili. Georgian people heartedly mourned, but his coffin was accompanied by about forty people and he was buried in Vake Cemetery...Georgia was aware of the greatness of the person, but because of different reasons, this greatness was not clearly expressed until later times. After as little as ten years, Ekvtime Takaishvili's remains were brought to Didube Pantheon. Later his wife's Nino Poltoratskaya's remains were transferred from France to Didube Pantheon as well. At present both Ekvtime and Nino Takaishvili are buried in Mtatsminda Pantheon. Ekvtime Takaishvili came to the scientific life in late 1880s under difficult conditions of Russian Tsarizm. He found his place beside the famous representatives of the Georgian historiography, who carried out fruitful activities for collecting, investigating and publishing of different sources of the national history. Ekvtime Takaishvili was the first who brought to the daylight the rich documentary materials of the Georgian history, Georgian epigraphy, unknown Georgian manuscripts, monuments of the Georgian material culture and prepared a solid ground for the future development of the Georgian scholarly work.

Today, from the heights of the XXI century, the biggest name of Ekvtime Takaishvili appears with special glamour. One philosopher had said: "history is renaissance and resurrection". This definition of history is of course disputable, but it amazingly fits to Ekvtime Takaishvili's fate.

Ekvtime Takaishvili was born on 5 January 1863. Parents died early and Ekvtime became an orphan. Three year old Ekvtime happened misfortune. He fell down from the tree and broke his right leg and since that time he became lame. At the age of 7 Ekvtime goes to Ozurgeti regional school, where his teacher Simon Kikodze, brother of the Archbishop Gabriel, plays an important role in his education. Simon

Kikodze was teaching poetry of Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli to his pupils. During his studies in Ozurgeti School, Ekvtime met with Niko Mari, and later they became close friends.

In 1883 Ekvtime finishes Kutaisi Gymnasium and enrolls in Saint Petersburg University Department of History and Philology. Learning diligently, Ekvtime deeply believed that he needed to acquire broad knowledge in order to serve his country in future. In 1887 Ekvtime Takaishvili graduated from the University and returned to Georgia.

In 1887-1894 Ekvtime was teaching at Tbilisi Nobility School and at the Classic Gymnasium, leading the courses of Greek and Latin, and History and Geography. Ekvtime Takaishvili makes acquaintance with Dimitri Bakradze, who by that time was working on investigating antiquities preserved in Georgian churches and monasteries. Ekvtime was elected as a board member of the Georgian Society of Literacy as early as the last year at Saint Petersburg University. Coming back to Georgia Ekvtime gets to work in the Society with all his efforts and inspiration. Due to his tireless work, important precious books, documents and different kinds of antiquities were collected.

Ekvtime Takaishvili was an expert of historical resources, also archeographer, epigraphist, digging archeologist, investigator of the Georgian literature and folklore, historical geography and legal studies.

Historical and Ethnographic Society, founded by the initiative of Ekvtime Takaishvili in 1907, played an important role in the scientific and cultural life of Georgia. The Society aimed at the study of the history of Georgia, traditions of its people and monuments of art. Immediately, after founding the Society, almost all the Georgian intelligentsia joined it and the Society initiated broad and fruitful activities in Georgia and abroad.

Among other activities, public meetings were especially important, where the famous Georgian scholars of the time discussed the results of their scholarly work with the attending audience. Discussions around the reports were of much importance as they promoted the right scholarly outlook. Ekvtime Takaishvili considered that well organized expeditions were essential for the investigation of the Georgia's rich past

and its interesting present. The Society organized numerous excursions and expeditions to study historical monuments, to collect archeological and ethnographic items and to gather the folklore.

Ekvtime Takaishvili started publishing the following two series immediately after founding the Society: *Ancient Georgia* and *Antiquities of Georgia*. The first of them published research works, synopsis and other historical and ethnographic materials, and the other accommodated affidavits, historical letters and other documents.

Ekvtime Takaishvili often made reports before the audiences. His works show big erudition, deep knowledge of subject and the author's academic honesty. His scholarly work *Materials for the Archeology of Caucasus* consisting of important materials, gained broad attention of society. The work got highest evaluation of the Archeological Society of the Russian Emperor and on 28 March 1911 it was awarded with grand medal.

Ekvtime Takaishvili played an important role in founding the Georgian University. He was elected together with Ivane Javakhishvili in the Commission of the Society of the Georgian University. The University was opened on 26 January 1918 (old style). Ekvtime Takaishvili was teaching the courses of archeology, epigraphy, and history of churches and monasteries at the University. On 21 May 1918 Ekvtime Takaishvili was conferred on Doctor's degree by the Board of Tbilisi University.

Ekvtime Takaishvili continued studying the Georgian antiquities while teaching at the University. He made trips to various parts of Georgia and did lots of useful work.

Ekvtime Takaishvili and his contemporaries had a wide understanding of archeology as a science. They united the following work under the field: description of temples, clerical books, copying of inscriptions, their description and interpretation, digging of archeological traces, etc. Obviously this kind of activity required intensive travel in the regions of Georgia and despite his physical disability, Ekvtime did not leave a single region without paying a visit to study historical monuments.

Regulations of Literary Society anticipated collecting of ancient, deteriorated church books. Ekvtime Takaishvili started his activities from this point. As a result of his work, Ekvtime publishes “Three Chronicles” in 1890, which was followed by another edition titled “The Life of the Saint Nino” representing a logical part of the previous work. The publication made a big impact on the Georgian society and became a turning point in the Georgian historiography.

As a result of his systematic research during several decades, Ekvtime Takaishvili uncovered many of the unknown relics. Among them the old manuscript copies of “the Knight in the Panter’s Skin” discovered by him, are of the greatest importance. Ekvtime collected 17 manuscripts and traced the references of 24 manuscripts in total. .

The oldest copy of “The Knight in the Panter’s Skin” traced by Ekvtime Takaishvili is dated by 1646. The copy made for the King George XI in 1680, is also a very important finding. The manuscript is distinguished for its ornamentation. “Any of the European museums would pay a million for this copy” – Ekvtime Takaishvili says.

Ekvtime Takaishvili did a lot of work for collecting and preservation of the remarkable materials of “Akhgori Treasure”. He traced sellers and buyers of the treasure until he collected the major part of the treasure and housed it in the Caucasus Museum.

Ekvtime Takaishvili discovered the manuscript of “Royal Court Regulations”. Ekvtime found this manuscript in garbage in an abandoned house while travelling in Kartli. In May 1920 Tbilisi State University published “Royal Court Regulations” with the preface of Ekvtime Takaishvili. The document is very important although it is incomplete. It represents a manual for the king’s men, for the ruler, and for all servants generally. This is a collection of laws on ruling the country introduced by different kings. The monument is very important for the study of the Georgian statehood and its internal organization.

Ekvtime Takaishvili’s trips to South Georgia or so called “Turkish Georgia” (this southern part of Georgia is within the Turkish boundaries at present) were very important. The first expedition was organized in 1902, during which the architectural monuments of Akhalsikhe,

Akhalkalaki and Artaani were explored. The second expedition, which was conducted in 1907, investigated the monuments located in Artaani (Cola) and finalized the study of Oltisi monuments. The third expedition was held in 1917.

Ekvtime saw almost all historical monuments of Georgia with his own eyes to experience their brilliance and magnificence of the talent and power of the architects who created those glorious monuments of Georgia. Lots of historical materials were uncovered. Although many of the monuments had already been archeologically described, Ekvtime made corrections in old descriptions finding many new details which were of the greatest importance for the clarification of different issues of our history.

Ekvtime Takaishvili traveled and described Alaverdi, Shuamta, Bodbe, Telavi, Gremi, Ikalto, Akhmeta, etc. in Kakheti; Sachkhere, Jruchi, Katskhi, Kutaisi, Gelati, etc. in Imereti; Martvili, Tsaishi, Zugdidi, Tsalenjikha, Bandza, Abasha, Sujuna, etc. in Samegrelo; Glola, Chiora, Gebi, Oni, Cesi, Mravalzdali, Skhvava, Bugeuli, Nicortsminda, etc. in Racha; Labechina, Sairme, Lajana, Orbeli, Lentekhi, Lashkheti, Ushguli, etc in Lechkhumi and Svaneti.

In 1937 Ekvtime Takaishvili published the book “Archeological Expedition in Lechkhum-Svaneti in 1910”. Apart from describing the historical monuments in Lechkhumi and Svaneti, he made an important conclusion in this edition. The author mainly discussed the historical monuments of the Christian period in the book and he developed an idea that the Svans adopted Christianity from Byzantine. After Georgia’s unification under the throne of Bagrat III in 980s, Svaneti became a part of the united Georgia. Since then, the Georgian kings paid much attention to Svaneti.

1921 marked a new era in the life of Georgia. Immediately, after establishing the soviet power, the former Menshevik Government moved to Batumi to leave for abroad by sea. It was ordered by the Government to collect all museum property in boxes to take abroad. The foundation Council appointed Ekvtime Takaishvili as an observer of the treasure. It was not easy for the scholar to abandon the home country,

but the Georgian national treasure needed a dedicated observer. Ekvtime fully realized that the monuments of the material and spiritual culture could be lost forever unless proper supervision. On 11 March 1921, Ekvtime Takaishvili left Georgia and spent many years in emigration. The Menshevik Government was considered the formal patron of the treasure.

The treasure had a tremendous value. It included precious items from Tbilisi Museum including golden, silver and pearl jewelry, precious manuscripts, paintings from the National Gallery, the treasure from the Dadiani Palace in Zugdidi, property of Gelati and Martvili monasteries, treasure from Tbilisi Palace, property of the Russian churches, property of the treasury, property of Borjomi Palace (with rich libraries), etc.

The Plenipotentiary Minister and Supreme Commissioner of the Government of France in South Caucasus Abel Chevalier got the Georgian treasure loaded on the board of the French cruiser “Ernest Renan”. Moreover, he managed the vessel to depart earlier, which caused Ekvtime Takaishvili and his wife Nino travelling with him, to be left behind. Ekvtime rented a boat to catch the cruiser heading to Constantinopol. In Constantinopol the treasure was transferred to the vessel “Bien Hoa” and on 20 March headed to Marcel. After 48 days on 10 April 1921, they arrived in Marcel. After delivering the treasure to the Bank of Marcel, Ekvtime Takaishvili moved to Marcel with his wife and lived there for a while. Then they moved to Le Vile. Ekvtime Takaishvili continued his scholarly work in France. His work was recognized and he was elected as a chairman of Numismatic Society (4 February 1922), and a member of Asia Society (1925).

The rumor of the Georgian treasure getting in France caused a widespread interest and a number of potential buyers appeared. The museums of New York and Great Britain tried to acquire at least a small part of the treasure. The French historian Mile requested a permission for taking photos of the items. Ekvtime Takaishvili observing the Georgian treasure with commitment and dedication refused everyone asking for anything in relation to the treasure. Seeing a big interest towards the treasure, Ekvtime was concerned about the future of its fate.

He had shared his concerns with Akaki Shanidze and Giorgi Akhvediani who arrived in France in 1928, saying: “Please do anything in order that these relics return to Georgia. If this does not happen, I will die”.

The treasure stayed in France for almost 25 years. Only after the turning point in the Second World War in 1944 in favor of the Soviet Union, it became possible to bring the treasure back to Georgia. In November 1944, Ekvtime Takaishvili met with the Ambassador of the Soviet Union in France Alexander Bogomolov. Ekvtime informed the Ambassador with the circumstances related to the treasure and asked for his assistance. At the same time, Ekvtime passed to him a long report addressed to General De Gaulle. By that time, De Gaulle was in preparation to leave for Moscow to meet with Stalin (the visit was held on 2-10 December 1944). De Gaulle had ordered to return the Georgian treasure to Georgia. Ekvtime Takaishvili says in his memoirs: “The question of the Georgian treasure was solved in wake of Stalin’s untold victory in the war, after which the Germans were forced to abandon Paris. This victory brought a big fame to Stalin in France. The French people prayed on Stalin’s name saying: “we will dedicate a golden monument to him”. We mentioned that Stalin was Georgian by origin, but they were suspicious that the small nation like Georgia could give a birth to such a big person”.

Despite the difficult life, Ekvtime Takaishvili served as a dedicated patron of the Georgian treasure trusted to him, and the old Ekvtime, in 11 April 1945, returned to Georgia together with the treasure. When stepping on his native land, 83 year old Ekvtime pronounced Akaki’s words with a trembling voice:

“With the blue of your sky,
With the emerald of your land,
Be my healer, my home country,
Please cure me with your hand!...”

The old scholar had told Shalva Amiranashvili: “Now I can say that I fulfilled my mission before my home country and my people”. Ekvtime Takaishvili considered his primary civil duty to bring the precious relics

back to Georgia unharmed, and since this big mission was fulfilled successfully, he was declaring with joy: “I am very happy and I don’t have a right to complain on my fate”.

Beginning the very first days after his arrival, Ekvyime Takaishvili was working with the scientific boards of the Academy of Sciences, Javakhishvili Tbilisi State University and the State Museum, publishing precious materials on different issues of the Georgian history. On 10 May 1945 he was elected as a Professor of Tbilisi State University and in 1946 was elected as an Academician of the Academy of Sciences.

